

რეციდიული დამნაშავეობის ზოგადი კრიმინოლოგიური დახასიათება და მისი ისტორიული ასპექტები

მაკა გორგოძე

ქ. ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია:

რეციდიული დამნაშავეობა მეტად რთული საზოგადოებრივი მოვლენაა. მეცნიერები შეისწავლიან რა ამ პრობლემას, იყენებენ როგორც სოციალური, ასევე კრიმინოლოგიური მეთოდების ყველა კომპლექსს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რეციდიულ დამნაშავეობას საკმაოდ ძველი ფესვები აქვს და მისი შესწავლაც საკმაოდ დიდი ხნის წინათ დაიწყო.

უპირველეს ყოვლისა ეს ნეგატიური სოციალური მოვლენა, აუცილებელია შესწავლილ იქნას, როგორც დამნაშავეობის ერთიანი სისტემის შემადგენელი ელემენტი, ნაწილი, ერთ-ერთი სახეობა მისთვის დამახასიათებელი ტიპური თვისებებით. მეორეს მხრივ, რეციდიული დამნაშავეობა არის დამოუკიდებელი სპეციფიკური მოვლენა, რომელიც არსებობს და ევოლუციას განიცდის საკუთარი კანონებით.

ისტორიული წყაროების გაცნობით ნათელი ხდება, რომ რეციდიულ დამნაშავეობას საქართველოს სამართლის ისტორიაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ძველი ქართული სისიხლის სამართალი, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სამართლის წყაროები, ცნობდა რეციდიულ დამნაშავეობას და რეციდივისტებს და მათ "უკუბრუნებლად დადგრომილებს" უწოდებდა.

საკვანძო სიტყვები:

იურისპრუდენცია, კრიმინოლოგია, რეციდივი, რეციდიული დამნაშავეობა, დამნაშავეობა, კრიმინოლოგიური დახასიათება, რეციდიული დამნაშავეობის ისტორიული ასპექტები.

მრავალჯერადი დამნაშავეობის ფენომენის წარმოშობისა და ევოლუციის შესწავლას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრიმინოლოგიაში. თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ ძეგლებს, აღმოვაჩინოთ, რომ რეციდიულ დამნაშავეობას ჯერ კიდევ ადრე იცნობდნენ. მაგალითად, გავეცნობით რა ქართული სამართლის ისტორიას ვნახავთ, რომ როგორც საეკლესიო ასევე საერო სამართალშიც მეორეჯერ ჩადენილი დანაშაული (გარდამავლობითი მოქმედება) უფრო მძიმე დანაშაულს წარმოადგენდა. გიორგი მთაწმინდელის გადმოცემით ათონის ქართველთა მონასტრის მონაცემებით მიღებული წესის თანახმად ეკლესიიდან გასული ბერი საჩქაროდ ისევ უკან უნდა დაბრუნებულიყო. თუ ბერი დაიგვიანებდა, მაშინ დამხვედრი პირველად "აბრალის და დაუმოწმის, ვათარმედ ამას ნულარა იქმ-ო", ხოლო თუ მეორეჯერაც ასე მოიქცეოდა "უკეთუ კულა ქმნის სატრაპეზოსა არა შეუმვას, არამედ ხმელისა პურისა ჭამაი განუწესის მას დღესა, ანუ ასი მუხლი მოადრეკინის"—ო.¹

¹ გ. მთაწმინდელი. ათონის ივერის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი დანაშაულისათვის სასჯელად სიტყვიერი შენიშვნა ყოფილა დაწესებული, ხოლო მეორეჯერ ჩადენილი დანაშაულისათვის უსაჭმელობა ან ასი მუხლმოყრა.

ვაჰანის მონასტრის წესდება და განაწესი არჩევდა პირველად და განმეორებით ჩადენილ დანაშაულს, ხოლო ამ უკანასკნელისათვის სასჯელსაც შედარებით მკაცრს ნიშნავდა. მაგალითად, მასში გადმოცემულია, რომ თუ მონასტრის წინამძღოლი დეკანოზი ან იკონომისი თავიანთ თანამდებობისათვის შეუფერებელ საქციელს ჩაიდენდა "მყის შეიცავდნენ პატივსაგან თვისა და უკეთუ შემდგომ ამისსა ეგვეითარადვე იქცეოდნენ განიხადნენ მონასტრისაცა". მაშასადამე პირველი დანაშაულისათვის სასჯელად თუ თანამდებობიდან გადაყენება იყო დაწესებული, მეორეჯერ ჩადენილი დანაშაულისათვის მონასტრიდან გაძევება.

იგივე ხასიათისაა საერო კანონმდებლობის სისხლის სამართლის ძეგლებიც. დავით IV აღმაშენებლის (1089–1125წწ) ისტორიკოსი გადმოგვცემს: ლიპარიტ ამირა, რომ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ პირველად ორგულობა დაიწყო, მეფემ "ამისთვისცა პყრობილ-ყო იგი დროსა რაოდენსამე, რომელი კმა იყო განსასწავლებლად გონიერისა ვისამე. და შემდეგ გამოუშვა როცა გამოირკვა, რომ ამირა თავისას არ იშლიდა. კუალად შეიპყრა ორ წელს პყრობილ-ყო და საბერძნეთს გაგზავნა".¹

ისტორიკოსს განმეორებით ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სიმკაცრის მიზეზიც კი აქვს განმარტებული.

"იხილამ მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალსო".

მაშასადამე, განმეორებით დანაშაულის ჩადენა ძველ ქართულ სამართალში ბოროტი მიდრეკილებისა და გამოუსწორებლობის გამოჩვენებლად ითვლებოდა. ვაჰანის მონასტრის განაწესის მიხედვით ასეთ პირებს "ჰავჩვეულნი" ეწოდებოდათ. არსებობდა აგრეთვე მეორე სახელიც "განუკურნებლად დადგრომილნი".²

თუ დამნაშავე გამოსწორდებოდა მაშინ მას საზოგადოებაში ძველი ადგილის დაბრუნებაში უწყობდნენ ხელს. ხოლო "უკურნებლად დადგრომილთა მოიკუთედეს და გარე განსთხევდეს".³

იმდროინდელ ქართულ სამართალში ერთმეანეთისაგან განარჩევდნენ "მიდევნებულებს" – (დანაშაულისადმი მიდრეკილებს) და "მოსმურობათა მიდევნებულებს" – (ლოთობის მიმდევარი).

"წარმდევად" – იწოდებოდა პირი, რომელიც არ ინანიებდა საკუთარ ცოდვებს და კვლავ ჩადიოდა.

"მეძავი არა მას ეწოდების, რომელ ერთგვის და უმეტესსა შეემთხვიოს ანუ იძულებით წაეკიდოს, რომელი განზრახვით და წარმდებობით იყოს მოქმედი ცოდვისა".⁴

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ცხადია, რომ აქ რეციდივზე, რეციდივისტებზე და გამოუსწორებლებზეა საუბარი.

აღსანიშნავია, რომ დამნაშავეობის აღნიშნულ სახეს ცნობდა სლავური სამართალიც და მას "от инмяя" შეესაბამება. რუსული სამართლის წყაროების გაცნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი რუსული სამართლებრივი ძეგლი

¹ "ცხორება მეფედ მეფისა დავითისი" გვ. 288-289

² ვაჰანის მონასტრის განაწესი გვ. 37-38

³ ვაჰანის მონასტრის განაწესი გვ. 38

⁴ "კანონი შეცოდებულთანი"

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მოცემულია დვინისა და ფსკოვის სასამართლო სიგელებში. ასეთ ნორმებს შეიცავდა სასამართლო კრებული 1495–1550 წლებში. ასევე 1649 წლის საეკლესიო დებულება. აღნიშნული დოკუმენტების განხილვისას ჩანს, რომ მრავალჯერადი დამნაშავეობის პრობლემის შუასაუკუნოვანი დოქტრინა განიხილავდა აღნიშნული პრობლემის კაზუსტიკურ მხარეებს.

რიგი საზღვარგარეთის სახელმწიფოების სისხლის სამართლის კოდექსებში ("კაროლინა" 1532–1810 წ. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, 1838 წ. ვირტემბერგის საჰერცოგოს სისხლის სამართლის დებულება, 1840 წ. ჰანოვერის სამეფოს სისხლის სამართლის დებულება და სხვა). რეციდივი განიხილება თითქმის იმავე რაკურსში, მაგრამ თანამედროვე კანონმდებლობისაგან განსხვავებით რეციდივი იგულისხმება მხოლოდ დანაშაულობების მრავალჯერადი განმეორება (სამჯერ და მეტი).

უფრო მოგვიანებით, 1845–1903 წლის სისხლის სამართლებრივი წესდებები ამახვილებენ ყურადღებას განმეორებით ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის გაცილებით მკაცრი ზომების გამოყენებაზე. აქ გვხვდება შემდეგი ფორმულირებანი "по привычке к преступной деятельности", "вследствие обращения такой деятельности в промысел".

განმეორებით ჩადენილი დამნაშავეობის უფრო საშიშ ფორმად გამოიყოფა რეციდივი "учинивший преступное деяние после провозглашения" ან "во время отбывания наказания".

აღნიშნული დოქტრინის შესახებ, ცნობებს გვაწვდის საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის კანონებიც. 1917 წლის შემდეგ იყო მცდელობები გამოეცვალათ ტერმინი "რეციდივი" – "საზოგადოებრივად საშიშ პირად" ცნობით, რაც განიმარტებოდა ახალი სახელმწიფო სისხლის სამართლის და მეცნიერ-განმანათლებლების ნაშრომების კლასიკური სკოლის კონცეპტუალურ საწყისებზე უარის თქმით, მათი შეცვლით დიალექტიკური მატერიალიზმით და სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლის ფუძემდებელი იდეებით. მაგრამ ი. ბ. სტალინის სიკვდილის შემდეგ კანონმდებლობა კვლავ უბრუნდება "რეციდივს" და "რეციდივისტის" ცნებას.

1922, 1926, 1960 წლების სისხლის სამართლის კოდექსის ესა თუ ის ვარიაციები, შეიცავდნენ მრავალჯერადი დამნაშავეობის სხვადასხვა სახეს, თუმცა ცალკე თავში არაფერი იყო ნათქვამი.

რეციდივიზმი, როგორც დამოუკიდებელი სისხლის სამართლებრივი ინსტიტუტი შემოთავაზებული იქნა 60-ანი წლების ბოლოს და 70-ანი წლების დასაწყისში. განსაკუთრებით აღსანიშნავია რ.რ. გალიაკბაროვის, მ.ა. ეფრემოვის, ე.ა. ფლოროვის, პ.ს. დაგელის, ვ.ა. მალკოვის, ა.ი. იაკოვლევის, ი.ა. კრასიკოვის და სხათა გამოკვლევები და შრომები აღნიშნული პრობლემის შესახებ.

თვით სიტყვა "რეციდივი", აღნიშნავს რომელიმე მოვლენის განმეორებას. სისხლის სამართალში ის ჩამოყალიბებულია როგორც დანაშაულის სიმრავლე, არაერთგზის დანაშაულთან და დანაშაულთა ერთობლიობასთან ერთად. რაც შეეხება კრიმინოლოგიას, ის რეციდივს განიხილავს როგორც დამნაშავეობის ერთ-ერთ სახეს. მასზე მრავალი თეორიული კონცეფციაა შექმნილი. განსაკუთრებით კი "რეციდივსა" და "განმეორების" ცნების განსხვავების ირგვლივ.

უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითად აშშ, საფრანგეთის, ესპანეთის კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი რეციდივის განმარტების შესახებ. თუმცა, აღნიშნულ პრობლემას კარგად იცნობს პოსტსაბჭოური ქვეყნების სისხლის სამართალი,

რადგანაც საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რეციდივიზმის ცნებას და დიდ ყურადღებას უთმობდა დამნაშავე რეციდივისტებს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით განასხვავებდნენ რეციდივის შემდეგ სახეებს: საერთო რეციდივი, სპეციალური რეციდივი და განსაკუთრებით საშიში რეციდივი.

საერთო რეციდივი ნიშნავდა ნასამართლები პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენას. სპეციალური რეციდივი საერთო რეციდივის ნაირსახეობა იყო და გულისხმობდა ნასამართლები პირის მიერ ახალი ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენას. სპეციალური რეციდივი ზოგჯერ უშუალოდ იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში.

რეციდივის ყველაზე საშიშ ფორმას განსაკუთრებით საშიში რეციდივი წარმოადგენდა. ის გულისხმობდა ორჯერ ან მეტჯერ მსჯავრდებას, კანონით მითითებულ მძიმე დანაშაულთა ჩადენისათვის. ამ დანაშაულთა დიდი საზოგადოებრივი საშიშროება უაღრესად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სიკეთეთა (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების და სხვა) ამკარად აბუჩად აგდება, მსჯავრდებულის ცინიკური დამოკიდებულება საზოგადოების მეცადინეობსადმი, გამოასწოროს და აღზარდოს იგი ადასტურებს მის წრეგადასულ ეგოიზმს და ზნეობრივ დეგრადაციას. ამის გამო ქმნის საფუძველს მკაცრი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.¹

მსჯავრდებულის ცნობას განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად მეტად მძიმე სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა ხოლმე. მაგალითად, შეიძლება დანიშნოდა თავისუფლების აღკვეთა 15 წლამდე. მამაკაცებს ათავსებდნენ განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში. ხოლო ქალებს, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში. მათ შეიძლება დანიშნოდათ აგრეთვე სასჯელის მოხდა საპყრობილეში მთლიანი ან ნაწილობრივი ვადით.

საბჭოთა სისხლის სამართალი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო რეციდივისტის სრული იზოლაცია სხვა პატიმრებისაგან, ხოლო იმ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს, რომლებიც ტერორით აშინებდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილას გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმარს ან აწყობდნენ თავდასხმას ადმინისტრაციაზე, ქმნიდნენ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს და აქტიურად მონაწილეობდნენ მასში, შეიძლება დანიშნოდათ სიკვდილით დასჯა.²

რეციდივისტებს სასჯელის მოხდის შემდეგ, ენიშნებოდათ მკაცრი ადმინისტრაციული ზედამხედველობა.

მეტად საინტერესოა დღევანდელი უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება განგრძობადი და დენადი დანაშაულის შესახებ. ბელორუსიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს დანაშაულთა ერთობლიობას. კარგადაა განმარტებული რეციდივის შესახებ რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსშიც.³

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, საშუალებას გვაძლევს ისინი წარმატებით იქნან გამოყენებული ქართულ კანონმდებლობაში.

რეციდივული დამნაშავეობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ოთხი ნიშანი:

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბილისი 1976 წ. მუხლი 44 გვ. 256-257

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 78

³ Уголовный кодекс российской федерации. Статья 18.

1. რეციდივი შეიძლება წარმოშვას მხოლოდ განზრახ დანაშაულობებმა.
2. შედგება ერთი და იმავე პირის მიერ ჩადენილი არანაკლებ ორი დანაშაულისაგან.
3. აუცილებელია ნასამართლობა წინად ჩადენილი დანაშაულისათვის.
4. მხედველობაში მიიღება მხოლოდ ისეთი ნასამართლობა, რომელიც პირმა ჩაიდინი სრულწლოვანობის პერიოდში.

ძველ დროში, კრიმინოლოგიისა და სისიხლის სამართლის სრულფასოვნად ჩამოყალიბებამდე, რეციდიული დამნაშავეობა მოიცავდა პროფესიონალურ დამნაშავეობასაც. კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოებში „პროფესიონალური“ დამნაშავეობის კრიმინოლოგიური დახასიათება, როგორც ერთ-ერთი თვი, გამოჩნდა მხოლოდ 1994 წელს¹, ხოლო 1995 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში იგი მოცემულია როგორც „პროფესიონალური და მნაშავეობა და მისი თავიდან აცილება“...

ასე, რომ წიგნებიდან, მხატვრული ფიქმებიდან, კრიმინოლოგიის ისტორიიდან, ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს პარიზის საიდუმლო პოლიცია გამოყოფდა პროფესიონალ დამნაშავეებს (პირებს, რომლებიც სისტემატურად ჩადიან ქურდობას, თაღლითობასა და სხვა დანაშაულებას საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც ამავე დროს აღწევენ გარკვეულ ოსტატობას). პროფესიონალური დამნაშავეის ტიპი გამოყოფილი იყო სამართალდამრღვევთა კლასიფიკაციაში კრიმინალისტთა საერთაშორისო კავშირის გეიდელბერგის ყრილობაზე 1897 წელს. რუსეთში, რიგი სამართალდამცავებისა, მათ შორის ს. პოზნიშვილი და ი. ფონცევი გამოდიოდნენ ტერმინის „პროფესიონალური“-ს გამოყენების წინააღმდეგ და თვლიდნენ რეციდიულად. მათ კიდევ ემახდნენ „ქრონიკულებს, გამოუსწორებლებს“ და ა.შ.

დამნაშავეობის ამ სახეობის ისტორიიდან, რევოლუციამდე რუსეთში მეცნიერები აღნიშნავდნენ:

- „პროფესიონალური“ დამნაშავეობის ცნება არ იყო, მაგრამ მას მიაკუთვნებდნენ პირებს, რომლებიც ჩადიოდნენ ქონებრივი დანაშაულების ცალკეულ სახეებს;
- მასთან ბრძოლა წარმოებდა სხვადასხვა მეთოდებით (დადაღვით დაწყებული და გამომძიებლების სპეციალური ჯგუფების შექმნით დამთავრებული);
- გამოკვლევები მოწმობენ, რომ პროფესიონალ დამნაშავეთა რიცხვი სამართალდამრღვევთა ძირითად მასასთან შედარებით მცირეა.
- სხვადასხვა სახის კრიმინალური სპეციალიზაციის არსებობა (მათი ოდენობა მხოლოდ „ქურდულ“ სამყაროში მითითებულია 25-ამდე. მათ შორის „громаиы“ (მძარცველები), „Медвежатники“ (სეიფების გამტეხი), „фoрмaзoнщики“ (თაღლითები), „домушник“ (ბინების გამქურდავი), „марвихер“ (მაღალი კვალიფიკაციის ჯიბის ქურდი) და სხვა).

ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების შედეგად და ამავე დროს ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით დანაშაულებრივ „პროფესიათა“ წრე მნიშვნელოვნად გაფართოვდა. სპეციფიკური სახეობის პროფესიონალურ დანაშაულებრივ საქმიანობას შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის დამახასიათებელი კრიმინალური სამყარო, „არაფორმალური დაჯგუფება“- „კანონიერი ქურდები“

დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებიდან ყველაზე უფრო მეტ ინტერესს იწვევენ ე.წ. „კანონიერი ქურდები“. ამ ინსტიტუტს მსოფლიოში არ გააჩნია ანალოგი, იგი არსებობს მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. მისი აღმოცენების ისტორია წარმოადგინეს გარკვეულ პროფესიონალურ ინტერესს.

1929 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა, რომლის შედეგადაც დაპატიმრებულთა რიცხვმა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დიდ კონცენტრაციას მიაღწია. ამავე წელს შეიქმნა ГУЛАП-ი, სადაც საკონტროლო ფუნქციებს ახორციელებდა ОГПУ-ს მთავარი ინსპექცია. ბუნებრივია, რომ წარმოიჭრა უკმაყოფილების საშიშროება იმათი მხრიდან, ვინც მოთავსებული იყო ГУЛАП -ში.

იმისათვის, რომ თავიდან ყოფილიყო აცდენილი ყოველგვარი უკმაყოფილება, ბანაკებში დაიწყო სისხლის სამართლებრივი დამნაშავეთა ავტორიტეტების აქტიური გადაბირება ШГПУ -ს აგენტება, რომელთა დახმარებით შესაძლებელია იქნებოდა „ტროცკისტებს“ (58-ე მუხლით გასამართლებულებს) შორის საჭირო დისციპლინის დამყარება. გადაბირებულებს ეკრძალებოდა პოლიტიკის დასაქმება; პირადად მიეღოთ მონაწილეობა მსჯავრდებულებზე ძალადობის გამოყენებაში; საკუთრებაში ჰქონდათ იმ ნივთიერებაზე მეტი, რაც ნებადართულია რიგითი მსჯავრდებულისათვის, სამაგიეროდ, მათ ეძლეოდათ მნიშვნელოვანი შეღავათები რეჟიმის მხრივ: ისინი არ მუშაობდნენ და შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად გადაადგილებულიყვნენ დაკავების ადგილას, რათა შეხვედროდნენ საჭირო ხალხს და შეეგროვებინათ ინფორმაცია. თავიდან მათ ეძახდნენ „нлатной“ ან „нлатари“.

ხოლო თვითონ კი თავიანთ თავს „კანონიერი ქურდი“ უწოდეს. ეს წოდება ჟღერდა და დღესაც ჟღერს. ისინი თვლიან, რომ „კანონიერი“ – ნიშნავს იმას, რომ მათი ავტორიტეტი კანონიერიერად არის ცნობილი დამნაშავეთა სამყაროს მიერ და რომ ის თვითონაც იცავს ქურდულ კანონებს.

„კანონიერი ქურდი“ ვალდებული იყო დაეცვა განსაზღვრული წესები, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ ეწეოდა „სწორ“ ცხოვრებას. არსებობს „სწორად ცხოვრების“ 13 მცნება, რომლითაც „კანონიერმა ქურდმა“ განუხრელად უნდა დაიცვას:

1. უარი უნდა თქვას: დედაზე, მამაზე, ძმასა და დაზე;
2. არა აქვთ უფლება იყოლიოს კანონიერი რეგისტრირებული ცოლი და შვილები;
3. არსად და არასოდეს არ იმუშაოს, რამდენადაც არ უნდა გაუჭირდეს (არა მარტო ციხესადა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, არამედ თავისუფლებაზე ყოფნის პერიოდშიც);
4. იცხოვროს მხოლოდ დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი საშუალებებით;
5. მიიღოს მონაწილეობა ქურდულ "сходка" -ზე და „разборка“-ზე;
6. ქურდული „სხოდკის“ გადაწყვეტილებით აწარმოოს დამნაშავეთა დასჯა (ჩვეულებრივად დასჯა მდგომარეობს მოკვლაში);
7. იცოდეს ქურდული ადათ-წესი და ჟარგონი;
8. არ იქონიოს არანაირი საქმე სახელმწიფო დაწესებულებებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან (ქურდს არ შეუძლია სადმე ოფიციალურად იმუშაოს, აგრეთვე არ შეუძლია რაიმე დახმარება გაუწიოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს);
9. ქურდი არ უნდა მსახურობდეს სამხედრო ძალებში (ვადიანი სამსახურის ჩათვლით);
10. თუ კი ქურდის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება, მან თავის თავზე უნდა აიღოს თანამონაწილის მიერ ჩადენილი დანაშაული, იმისათვის რომ, რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს თავისუფლებაზე;
11. არ უღალატოს თავის სიტყვას;
12. მიხედოს „ობშჩიაკს“;
13. დაეხმაროს სხვა ქურდებს ობშჩიაკის გამოყენების საკითხის გადაწყვეტაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ქურდული წესების თანახმად ჩამოთვლილი პუნქტებიდან თუნდაც ერთ-ერთის უგულვებელყოფა იწვევს „კანონიერი ქურდის” წოდების ჩამორთმევას.

მეტად საყურადღებოა რეციდივის ქალთა კრიმინოლოგიური შესწავლის ისტორიაც. მას პირველად ყურადღება მიაქცევს ანთროპოგენური მიმართულების მიმდევრებმა (ჩარლზ ლამბროზო, ე.ფერი, პ.ნ.ტარნოვსკაია და სხვა).

აღსანიშნავია, რომ მათ შეუფასებელი წვლილი შეიტანეს ქალთა რეციდიული დამნაშავეობის შესწავლაში, რადგანაც პირველად იყო გამოყენებული სასჯელმოხდელი ქალების მიერ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის მეცნიერული დასაბუთება, მაგრამ არ შეიძლება დარვიანის თეორიის მექანიკური გადატანა სოციალურ და დამნაშავეების წარმოშობის, განვითარების და მდგომარეობის ახსნა მხოლოდ ადამიანის ბიოლოგიური თვისებების გათვალისწინებით და მის საფუძველზე.

მეოცე საუკუნის ინგლისში, კიდევ ერთმა კრიმინოლოგიურმა სკოლამ მოგვცა ქალთა რეციდიული დამნაშავეობის კონცეპცია. ე.წ. "მორალისტური თეორიის" მიმდევრები (ნ.დავილივი, ნ.ზალანდი და სხვა), ამტკიცებენ, რომ ქალი – აპრიორი, უფრო ზნეობრივია ვიდრე მამაკაცი. თუმცა ქალთა რეციდიული დამნაშავეობის მაჩვენებელი დაბალი რიცხვის მიუხედავად, თუ ვიტყვით, რომ ქალები უფრო ზნეობრივები არიან, ვიდრე მამაკაცები, რადგანაც ზნეობრიობა გამომდინარეობს ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიური მდგომარეობიდან და თვისებებიდან. ნებისმიერი ადამიანი იქნება ის მამაკაცი თუ ქალი, მოდის ამ ქვეყნად იდენტურ პირობებში, ხატოვნად რომ ვთქვათ, როგორც ქალადის თეთრი ფურცელი და მხოლოდ შემდეგ: ოჯახი, საახლობლო წრე, სხვადასხვა სოციალური მისწრაფებები მთლიანად ახდენენ ნეგატიურ ან პოზიტიურ გავლენას მასზე.

მეოცე საუკუნის მიჯნაზე კრიმინოლოგიური მიმდინარეობის "სოციოლოგიურმა სკოლამ", შეისწავლა დამნაშავეობის სხვადასხვა მხარეები, მათ შორის ქალთა რეციდიული დამნაშავეობაც.

ქალთა რეციდიული დამნაშავეობა თანამედროვე კრიმინოლოგიური გაგებით, ესაა საერთო დამნაშავეობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, იგი როგორც ნეგატიური მოვლენა შესაძლოა განვიხილოდ შემდეგი დიფერენციაციის გათვალისწინებით, როგორც შედარებით მასობრივი, ცვალებადი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, დინამიკური სისტემა, რომელიც ქმნის დანაშაულებრივი ქმედების განმეორებით ჩადენას და დანაშაულის ხანდაზმულობის გაუქმარწყლებელი მდებარეობითი სქესის პირთა დამნაშავეების ურთიერთობას.

რეციდიული დამნაშავეობა თანამედროვე პირობებშიც ისეთივე რთული და მრავალასპექტიანია მოვლენაა, როგორც მისი ისტორიული განვითარების ეტაპებზე. რეციდიული დამნაშავეობის წარმომშობ მიზეზთა კომპლექსი აუცილებლად გასათვალისწინებელია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრისათვის. როგორც აღნიშნული იყო, რეციდიული დამნაშავეობა ესაა მთლიანად დამნაშავეობის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გამოირჩევა დამნაშავეობის პიროვნების განსაკუთრებული ხასიათით და მომეტებულ საზოგადოებრივი წინააღმდეგობით, რეციდიული დამნაშავეობა მჟღავნდება იმ ასპექტში, რომელიც ახასიათებს დანაშაულებრივ ქმედებებს განსაკუთრებული სიმყარით და მოწმობს პირთა წრის სურვილის არ ქონას, ეწეოდნენ ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას; რეციდივისტები არად მიიჩნევენ ზნეობრივ სამართლებრივ ურთიერთობებს, სისტემატურად არღვევენ მათ, ახდენენ შესამჩნევ უარყოფით ზემოქმედებას,

საზოგადოებაზე და დამნაშავეობის თვისობრივ დახასიათებაზე; ამასთანავე ამაღლებენ დანაშაულის ხარისხის სიმძიმეს, ორგანიზებულობასა და პროფესიონალიზმს; თავს ახვევენ საზოგადოების წევრებს საკუთარ ამორალურ შეხედულებებს და ქცევათა ნორმებს; ახდენენ კრიმინალური " სუბკულტურის" პროპაგანდას; აგრეთვე აქვთ ყველაზე უფრო დამღუპველი ზეგავლენა ახალგაზრდებს შორის და ეწვიან მათ ჩათრევას დანაშაულებრივ საქმიანობაში.

ყოველივე ზემოდაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეციდიული დამნაშავეობა, მთელი თავისი არსებობის მანძილზე მეტად აქტუალურ და საგანგაშო მოვლენას წარმოადგენდა საზოგადოებისათვის..მას დღესაც არ დაუკარგავს ეს ანტისოციალური ხასიათი და დიდ ძალისხმევას მოითხოვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან, რათა გატარებული ღონისძიებები წარმოადგენდეს ეფექტური ბრძოლის მექანიზმს აღნიშნული ნეგატიური საზოგადოებრივი მოვლენის თანდთანობით აღმოსაფხვრელად.

ლიტერატურა:

1. გ. მთაწმინდელი. ათონის ივერის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი
2. "ცხოვრება მეფედ მეფისა დავითისი" გვ. 288-289
3. ვაჰანის მონასტრის განაწესი გვ. 37-38
4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბილისი 1976 წ. მუხლი 44 გვ. 256-257
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 78
6. Уголовный кодекс российской федерации. Статья 18.
7. Кузнецова Н.Ф., Миныховский Г.И. Криминология. М. 1994. ст. 312-332
8. В.Н. Кузнецов, В.Е. Эминов. Криминология. М. 1995, ст.233-256
9. Гуров А.И. Профессиональная преступность. М., 1990
10. Тарарухин С.А., «Преступное поведение» М.,1974г
11. Криминология. Учебное пособие. М., 1997

Article received: 2006-03-16